**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# „ბატონებო“

„ბატონებო“, წარმართობის ხანიდან მომდინარე უძველესი ქართული ხალხური პოლიფონიური (სამხმიანი) სიმღერა-ვედრება.

მღერიან ქალები ზოგიერთი ინფექციური სენით (ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა) დაავადებული ბავშვის საწოლთან, ზოგჯერ საკრავის თანხლებით. მომღერლები ზეარსებათა სახით წარმოდგენილ „ყოვლისშემძლე ბატონებს“ შესთხოვენ ავადმყოფის განკურნებას. სიმღერას სხვაგვარად საბოდიშოსაც ეძახიან, აღმ. საქართველოში – „ბატონების იავნანას“. „ბ.“ ქალთა რეპერტუარიდან თანდათან გადავიდა მამაკაცებისაშიც, მას ხშირად ასრულებენ ფოლკლორული ანსამბლები (გუნდები).

***გ. ჩხიკვაძე***

***ს. ჟორდანია***